

SVANETI IN MODERN UKRAINIAN TRAVEL LITERATURE:
“LAND OF WOLVES” BY ALEKSEY BOBROVNIKOV

სვანეთი თანამედროვე უკრაინულ სამოგზაურო ლიტერატურაში:
ალექსეი ბობროვნიკოვის „მგლების ქვეყანა“

Natia Amirejibi

Doctor of Philology,

Visiting Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia

+995599448374, natia.amirejibi@tsu.ge

<https://orcid.org/0000-0002-8632-9805>

Abstract. Travelogue is a general term for travel literature, which has become quite common in modern studies. It is a parafiction, representing a syncretic genre and combining various types of texts – memoirs, diaries, essays, reports, notes, etc., that is, it's on the border between fiction and non-fiction. Travelogue is characterized by the presence of a travel writer (*the authors of travelogue are not necessarily writers: they can be of various professions – travelers, sailors, missionaries, politicians, diplomats, merchants, military personnel, historians, ethnologists, etc., however, the majority of them are writers*), realism, historicity, chronology, development of the text in time (from the beginning to the end of the journey) and space (following the route).

The present article provides a brief overview of travelers and travel from ancient to the present day; travel in the Caucasus and Georgia is highlighted; a special place is devoted to the travel genre in modern Ukrainian literature and the representation of Georgia in it.

The perception of a stranger against one's own background carries a strange/amazing connotation in some respects. Such is the travelogue of Aleksey Bobrovnikov, which we selected for our research: *Крайности Грузии. В поисках сокровищ страны волков / Крайності Грузії. У пошуках скарбів країни вовків / Extremes of Georgia. In Search of Treasures of the Land of Wolves*. The book was first published in 2016 in Kharkov, Ukraine. The author is an ethnically Ukrainian Russian-speaking journalist, traveler, and documentary filmmaker who traveled around Georgia by bicycle and described its various regions. The publication of the book was met with great response in Ukraine, it was written that Bobrovnikov repeated what Dumas did 150 years ago; some critics assessed the book as an excellent ethnographic report.

A large part of the book is dedicated to a journey to Svaneti – the Land of Wolves. In it Bobrovnikov presents a very original hetero-image of this region. The author's intention is the cultural romanticization-exoticization of Svaneti as a foreign/other. It is noteworthy that such a text, in which Svaneti is described artistically and ethnographically, is unlikely to be found not only in Modern Ukrainian literature, but also in the literatures of other European countries. This is a kind of unique text, which also deserves special interest and attention.

This book is also important to me because it has not been translated into Georgian, the excerpts in the article were translated by me. Meaning it is also interesting from the perspective of translation theory and practice.

Keywords: Georgia, Svaneti, Ukraine, Travelogue, Ethnoculture, Imagology, Comparative studies, Translation.

ნათია ამირეჯიბი

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მოწვეული პროფესორი,

ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1, 0179, საქართველო

+995599448374, natia.amirejibi@tsu.ge

<https://orcid.org/0000-0002-8632-9805>

აბსტრაქტი. ტრაველოგი – სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის (travel literature) ზოგადი ტერმინია, რომელიც ბოლო პერიოდის კვლევებში საკმაოდ გავრცელებულია. ის პარაბელეტრიტიკაა, სინკრეტულ ჟანრს წარმოადგენს და სხვადასხვა ტიპის ტექსტებს აერთიანებს – მოგონებებს, დღიურებს, ნარკვევებს, ესეებს, რეპორტაჟებს, ჩანაწერებს და ა.შ., ანუ ის მხატვრული და არამხატვრული (fiction და non-fiction) ლიტერატურის ზღვარზეა. ტრაველოგისთვის დამახასიათებელია მოგზაური მწერლის არსებობა (*სამოგზაურო ტექსტების ავტორები აუცილებლად მწერლები სულაც არ არიან: ისინი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა პროფესიის – მოგზაურები, მეზღვაურები, მისიონერები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, ვაჭრები, სამხედრო მოსამსახურეები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები და სხვ., თუმცა მათი ძირითადი ნაწილი ლიტერატორია*), რეალისტურობა, ისტორიულობა, ქრონოლოგიურობა, ტექსტის განვითარება დროსა (მოგზაურობის დასაწყისიდან დასასრულამდე) და სივრცეში (მარშრუტის კვალდაკვალ).

სტატიაში მოცემულია მოგზაურთა და მოგზაურობათა მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე; გამოყოფილია კავკასიაში და საქართველოში განხორციელებული მოგზაურობები; განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მოგზაურობის ჟანრს თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში და მასში საქართველოს რეპრეზენტაციას.

უცხო ადამა საკუთარის ფონზე გარკვეული თვალსაზრისით საკვირველი/საოცარი კონოტაციის მატარებელია. ასეთია ჩვენ მიერ კვლევისთვის შერჩეული ალექსეი ბობროვნიკოვის სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები *Крайности Грузии. В поисках сокровищ страны волков / Крайності Грузії. У пошуках скарбів країни вовків / საქართველოს უკიდურესობები. მგლების ქვეყნის საგანძურის ძიებაში*. წიგნი პირველად 2016 წელს გამოიცა ხარკოვში, უკრაინაში. ავტორი ეთნიკურად უკრაინელი რუსულენოვანი ჟურნალისტი, მოგზაური და დოკუმენტური ფილმების ავტორია, რომელმაც საქართველო ველოსიპედით შემოიარა და მისი სხვადასხვა კუთხე აღწერა. წიგნის გამოცემას უკრაინაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დაიწერა, რომ ბობროვნიკოვმა გაიმეორა ის, რაც დიუმამ 150 წლის წინათ გააკეთა; ზოგიერთმა კრიტიკოსმა წიგნი შეაფასა, როგორც შესანიშნავი ეთნოგრაფიული რეპორტაჟი.

ნაწარმოების ერთი დიდი ნაწილი სვანეთში – მგლების ქვეყანაში – მოგზაურობას ეთმობა. მასში ავტორი ამ კუთხის მეტად ორიგინალურ ჰეტეროსახეს წარმოგვიდგენს. ავტორის მიზანდასახულობაა სვანეთის, როგორც უცხო/სხვის სახის კულტურული რომანტიზაცია-ეგზოტიზაცია. საგულისხმოა, რომ ასეთი ტექსტი, რომელშიც სვანეთი მხატვრულად და ეთნოგრაფიულად არის აღწერილი, ნაკლებად სავარაუდოა მოიძებნოს არა მხოლოდ თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების ლიტერატურებშიც. ეს ერთგვარი უნიკალური ჩანახატია, რითაც ასევე იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს და ყურადღებას.

ეს წიგნი ჩემთვის იმითაც მნიშვნელოვანია, რომ ის ქართულად თარგმნილი არ არის, სტატიაში მოცემული ამონარიდების თარგმანი ჩემ მიერაა შესრულებული, ანუ თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის პრიზმაშიც საინტერესოა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, სვანეთი, უკრაინა, ტრაველოგი, კომპარატივისტიკა, ეთნოკულტურა, იმაგოლოგია, თარგმანი.

შესავალი

ტრაველოგი, როგორც ლიტერატურის ჟანრი და მისი მიმართება საქართველოსთან
სამოგზაურო ესე ძალიან ძველი ჟანრია. თავდაპირველად მოგზაურობის და მისი წერილობითი ასახვის მიზანი ეგზისტენციალური იყო. კაცობრიობის მეხსიერებაში პირველი მოგზაური, რომლის ამბავიც ძველ აღთქმაში დეტალურადაა მოთხრობილი, აბრაამია (ძვ.წ. XVIII-XVII სს.). ეპიკურია ებრაელი ხალხის მოგზაურობა აღთქმული მიწისკენ მოსეს (ძვ.წ. XIV-XIII სს.) წინამძღოლობით. შედარებით მოკლე მანძილზე იმოგზაურა სხვა მრავალმა ბიბლიურმა პერსონაჟმა. დოკუმენტურად დადასტურებული სამოგზაურო ჩანაწერებია ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.) „ისტორიებში“ (ბერძ. Ιστορία) სპარსეთში, ეგვიპტესა და ბაბილონში ყოფნის შესახებ; აღმოსავლეთში მოგზაურობას აღწერს ქსენოფონტეს (ძვ.წ. V-IV სს.) „ანაბასისი“ (ბერძ. Ἀνάβασις). გარდა ამისა, სამოგზაურო ლიტერატურის ელემენტებია სტრაბონის (ძვ.წ. I ს.) „საისტორიო ნარკვევებში“ (ბერძ. Ιστορικὴ γεωγραφία) და „გეოგრაფიაში“ (ბერძ. Γεωγραφικά), დიონ კასიუსის (ახ.წ. II-III სს.) „რომის ისტორიაში“ (ბერძ. Ῥωμαϊκὴ ἱστορία). თითოეული ეს ნაწაროები მდიდარია გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობებით, მათ შორის, ქართველური ტომების და ძველი ქართული სახელმწიფოების შესახებ.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები ქრისტიანი მისიონერების მოგზაურობებით აღიბეჭდა. ახალი მრწამსის გავრცობის მიზნით მოციქულები და მათი მოსწავლეები მთელ ძველ მსოფლიოს მოედნენ, მოინახულეს იმ პერიოდის ბერძნულ-რომაული სამყაროს თითქმის ყველა მთავარი ქალაქი, დასავლეთის, აღმოსავლეთის თუ აფრიკის მიწები. მათი თხრობა მოიცავს მოგზაურობის ჟანრის თითქმის ყველა ელემენტს: თავგადასავალს, შორეული ადგილების ეგზოტიკას, ღირსშესანიშნავ შეხვედრებს ცალკეულ ინდივიდებთან და ადამიანთა ჯგუფებთან, ექსპრესიულ ეპიზოდებს, გაურკვევლობას, საფრთხეს, გადარჩენას. მოგზაურობები წმინდა წიგნს რეალიზმს და მიმზიდველობას მატებს.¹

მოგზაურობათა დიდი ნაწილი დაკავშირებულია ვაჭრობის განვითარებასთან. ვაჭრები და სახმელეთო თუ საზღვაო სავაჭრო გზები ყოველთვის ახლის აღმოჩენის მაპროვოცირებელი ასპექტი, გეოგრაფიული ცოდნის გაფართოების, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირების დამყარების საშუალება იყო. ამ პროცესებმა ხელი შეუწყო მსოფლიო ისტორიის განვითარებას და სხვადასხვა ცივილიზაციასა და ხალხს შორის ურთიერთქმედებას.

განსაკუთრებით გაცხოველდა მოგზაურობები შუა საუკუნეებში. XIII-XIV სს. მარკო პოლო (1254-1324) აბრეშუმის გზით ევროპიდან ინდოეთში ჩავიდა. ამ მოგზაურობის შესახებ მისი ნაამბობი ტუსადმა რუსტიჩანომ ჩაწერა, შემდგომში ამ ჩანაწერებით შედგა

¹ რელიგიურ-ფილოსოფიური მოღვაწეობა დიდწილად ადგილიდან ადგილზე გადასვლას მოიცავს. ასე გავრცელდა ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. მოგზაურობა კაცობრიობის ბედისწერაა. პირველი ადამიანები – ადამი და ევა – სამოთხიდან გაძევების შემდეგ უდაბნოს გზას დაადგნენ; ახალ აღთქმაში იესო არქეტპული მოგზაურია. მიწიერი მსახურების სამი წლის განმავლობაში მისი ხეტიალი მუდმივი მოძრაობაა ერთი ადგილიდან მეორეში. ბიბლია უხვ მასალას შეიცავს მოგზაურობებთან და ამა თუ იმ ქვეყნის და ხალხის რაობასთან დაკავშირებით, ე.ი. მისი წაკითხვა და შესწავლა სამოგზაურო ჟანრის ჭრილშიც შეიძლება. მასში ასახული მოგზაურობების ისტორიები გარკვეულწილად გადმოსცემს აზრს, რომ ჩვენ ყველანი, ადამიანები, ყარიბები ვართ ამ სამყაროში.

„მარკო პოლოს წიგნი“ (მკ. ფარნგ. *Livres des merveilles du monde*)², რომელშიც საქართველოცაა ნახსენები. ამ ეპოქაში ასევე ჩნდება მომლოცველთა მოგზაურობების ჩანაწერები. როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი პილიგრიმები აღწერენ რომს, იერუსალიმს და მექას. მათ შორისაა XIV საუკუნის ცნობილი მაროკოელი მოგზაური და ვაჭარი იბნ ბატუტა, რომელმაც დატოვა სამოგზაურო ჩანაწერები „საჩუქარი მათთვის, ვინც აკვირდება ქალაქების უცნაურობებს და მოგზაურობის საოცრებებს“ (არაბ. *هدية إلى الناظرين إلى عجائب المدن*).³ ეს ჩანაწერები განიხილება, როგორც გზამკვლევი მომლოცველებისთვის და არაბი და ევროპელი ვაჭრებისთვის სხვადასხვა ქვეყნის მარშრუტების, კულინარიული ტრადიციებისა და ვალუტის სფეროში.

რენესანსის ეპოქაში ბეჭდვის გამოგონებამ და ქალაქის გავრცელებამ წიგნი უფრო ხელმისაწვდომი გახადა, ხოლო ევროპელების მიერ აფრიკის სანაპიროების ათვისებამ და ამერიკის აღმოჩენამ თვალსაწიერი გააფართოვა და ახალი ცოდნის შეძენის სურვილი გაამძაფრა. XV-XVI სს. სამოგზაურო ჩანაწერები ზუსტ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ რეალობას ასახავენ.⁴ თუმცა მოგზაურები დიდი ხნის განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდნენ მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერების ლიტერატურულ მხარეს; მათი შენიშვნები, როგორც წესი, ან ვაჭრის დაკვირვებებია, ან ისტორიკოსის მშრალი აღწერა, ან მეცნიერის დღიური, ან დიპლომატის მოხსენება, ან მისიონერის ღვაწლი.

XV-XVI სს. ევროპაში ცნობილი მოგზაურები იყვნენ: აფანასი ნიკიტინი (1466-1472), რომელიც წიგნში „მოგზაურობა სამი ზღვის გადაღმა“ (რუს. *Хождение за три моря*) ესეს ჟანრში აღწერს თავის მოგზაურობას ინდოეთში, ასევე კავკასიაში, ყირიმსა და სპარსეთში; ნიკოლო კონტი (გარდ. 1469) – ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური, რომელმაც საუკუნის მეოთხედი აღმოსავლეთში ხეტიალში გაატარა;⁵ ლოდოვიკო დე ვართემა (გარდ. 1517), რომელმაც აზიაში 1502-1507 წწ. იმოგზაურა;⁶ ჯონ კაბოტი (1455-1499), რომელმაც 1497 წელს ატლანტის ოკეანე გადაცურა და კუნძულ ნიუფაუნდლენდს მიაღწია.⁷ ყოველმა მათგანმა საკუთარი მოგზაურობების აღწერები დატოვა.

² აღსანიშნავია, რომ „მარკო პოლოს წიგნი“ ინდოეთისკენ მიმავალ ქრისტიანულ კოლუმბს ჰქონდა გემზე და შენიშვნები შეჰქონდა მასში. ნაწილობრივ ამ წიგნმა იქონია გავლენა მის გადაწყვეტილებაზე, ინდოეთში ატლანტის ოკეანის გავლით, დასავლეთიდან ჩასულიყო, რის შედეგადაც, საბოლოოდ, ამერიკა აღმოაჩინა.

³ იბნ ბატუტას ნაწარმოები პირველად ევროპულ (ლათინურ) ენაზე 1818 წელს ითარგმნა (ნაწილობრივ) სათაურით „De Mohammede Ebn-Batuto Arabe Tingitano ejusque itineribus“; 1829 წელს ინგლისურად ითარგმნა სათაურით „The Travels of Ibn Batuta, translated from the abridged Arabic MS. Copies by Lec“.

⁴ როგორც ცნობილია, ჩანაწერებს აკეთებდნენ ისეთი დიდი მოგზაურები, როგორებიც იყვნენ ქრისტიანული კოლუმბი (1451-1506), ვასკო და გამა (1460-1524), ბარტოლომეუ დიაში (1450-1500), პედრუ კაბრალი (1467-1520), ფერნან მაგელანი (1480-1521), ვილემ ბარენცი (1550-1597), ალბუკერკე აფონსო (1453-1515) და მრავალი სხვა.

⁵ ნიკოლო კონტის მოგზაურობათა ამბავი ჩვენამდე ფლორენციელი ჰუმანისტის, ფილოსოფოსის, მწერლის, ანტიკური ხელნაწერების შემგროვებლის, პაპის მდივნის, პოპოლარის (1380-1459) ჩანაწერებით, ასევე, კასტილიელი მოგზაურის პერო ტაფურას (1405/1410-1484) მონათხრობით მოვიდა.

⁶ ლოდოვიკო დე ვართემა 1503 წელს ზღვით ალექსანდრიაში ჩავიდა. შემდეგ ნილოსით კაირომდე ავიდა. ეგვიპტიდან ბეირუთში გაემგზავრა. ეწვია ტრიპოლისა და ალექსო, დამასკოში მას მამლუქებმა უმასპინძლეს. მომლოცველთა ქარავანთან ერთად მექასა და მედინას ესტუმრა. გახდა პირველი ევროპელი (და პირველი არამუსლიმი მე-VII საუკუნის შემდეგ), რომელიც ამ ქალაქებს ეწვია.

⁷ ჯონ კაბოტი პირველი იყო, ვინც ვიკინგების დროიდან ხუთი საუკუნის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში ჩავიდა.

XVII საუკუნის შუა ხანებში სამოგზაურო ესე ლიტერატურული ჟანრი გახდა. ეს პერიოდი მდიდარია სამეცნიერო ექსპედიციებით და ინდივიდუალური მოგზაურობებით, „სხვადასხვა ცივილიზაციის შედარების წახალისებით“. ამ დროს ყველა მოგზაურობა ახალ ფილოსოფიურ იდეებს წარმოშობდა. აქედან გამომდინარე, მოგზაურმა ავტორებმა ლიტერატურული გავლენის სარგებელი გააცნობიერეს და თხრობის სტილი კომპოზიციასთან გააერთიანეს. ამ ეპოქის გამორჩეული მოგზაური-მისიონერია აღმოსავლეთმცოდნე კრისტოფორო დე კასტელი (1597-1659), რომელიც საქართველოსთანაც არის დაკავშირებული. ის აქ 1628 წელს ჩამოვიდა, აუდიენცია ჰქონდა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან, იმყოფებოდა გურიასა და ოდიშში. კასტელმა საქართველოზე უნიკალური ალბომი შექმნა (იტალ. *Missioni per molti paesi d'infedeli*), აღწერა აქ არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.⁸ საქართველოს და ქართველებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იტალიელი მოგზაურის, აღმოსავლეთმცოდნის, ლიტერატორის, მუსიკათმცოდნის პიეტრო დელა ვალეს (1586-1652)⁹ თხზულებებში. მის „მოხსენებაში“ პაპი ურბან VIII-სადმი (იტალ. *Informazione della Giorgia data alia Papa Urbano VIII, 1626*) აღწერილია საქართველოს გეოგრაფია, საზოგადოებრივი და საეკლესიო მოწყობა.

XVIII-XIX სს. გაჩნდნენ მწერლები-მოგზაურები, რომლებიც სწორედ იმისთვის მოგზაურობდნენ, რომ საკუთარი თავგადასავალი ლიტერატურულად აღეწერათ. ასე მოიქცნენ ჯუზეპე ჯუდიჩე (მილანელი) (გარდ. 1646), ჟან შარდენი (1643-1713), ლორენს სტერნი (1713-1768), ალექსანდრ რადიშჩევი (1749-1802), ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833), ფრანსუა რენე შატობრიანი (1768-1848), შარლ ნოდიე (1780-1844), ფრედერიკა-ელენა ფონ ფრეიგანგი (1790-1863), ალექსანდრ პუშკინი (1799-1837), ალექსანდრ დიუმა (1802-1870), ჟერარ დე ნერვალ (1808-1855), თეოფილ გოტიე (1811-1872), ვერნერ ფონ სიმენსი (1816-1892), ეჟენ ფრომანტენი (1820-1876), მიხაი ზიჩი (1827-1906), კარლა სერენა (1829-1884), ბერტა ფონ ზუტენერი (1843-1914), პიერ ლოტი (1850-1923), არტურ ლაისტი (1852-1927), ბარონი დე ბაი (1853-1931), რადიარდ კიპლინგი (1865-1936), მარჯორი უორდროპი (1869-1909) და სხვ. ჩამოთვლითაგან მრავალმა საქართველოც მოინახულა და აღწერა. საგულისხმოა, რომ რუსეთის იმპერიის დროს საქართველო ეგზოტიკურ მივარდნილ ადგილად ითვლებოდა, სადაც უცხოელები აღმოსავლეთისკენ მოკლე გზას ეძებდნენ, ხოლო თავად იმპერია პოლიტიკურად არასაიმედო ხალხს ასახლებდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს XVIII-XIX სს. მიჯნის ქართველი აზნაურისა და ვაჭრის რაფიელ დანიბეგაშვილის (დანიბეგოვის) (1778-1830) მოგზაურობა ინდოეთში. სხვადასხვა დროს მან ხუთჯერ იმოგზაურა ამ ქვეყანაში, აქედან ორჯერ ერეკლე II-ის, ერთხელ გიორგი XII-ის დავალებით. მესამე მოგზაურობისას მან 14 წელი გაატარა ინდოეთში, სამჯერ გადაკვეთა ჰიმალაისა და ყარაყორუმის ქედები, ტიბეტის ზეგანი, კაშგარის დაბლობი. საკუთარი თავგადასავალი წიგნში აღწერა, რომელიც 1815 წელს გამოიცა. თხზულებაში მოცემულია ცნობები ინდოეთის ბუნების, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების, ინდოეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობების შესახებ.¹⁰

⁸ კასტელის მიერ შეკრებილი მასალები და ადგილზე შესრულებული ჩანახატები, შვიდ სქელტანიან ტომად შეკრული (500-ზე მეტი ჩანახატით), ქალაქ პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაშია დაცული. მანამდე ეს მასალა თეატინელების მონასტერში ინახებოდა.

⁹ როგორც ცნობილია, 1621 წელს პიეტრო დელა ვალემ ცოლად შეირთო ტყვეობიდან მის მიერ გამოსყიდული, სპარსეთის შაჰის კარზე მყოფი ქართველი ქალი თინათინ-მარია ძიბა, რომელთანაც 14 შვილი შეეძინა.

¹⁰ წიგნის ქართული დედანი დაკარგულია, ჩვენამდე მოსკოვში დაბეჭდილი რუსულენოვანი გამოცემით მოაღწია სათაურით «Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова» („ქართველი წარჩინებულის რაფაილ დანიბეგოვის მოგზაურობა ინდოეთში“).

XX საუკუნეში სამოგზაურო ესე საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. ამ პერიოდის ტრაველოგის ყველაზე გავრცელებული ფორმებია სამოგზაურო დღიური და ეთნოგრაფიული რეპორტაჟი „სპონტანურობის რიტორიკით“ და ყოველდღიური ფრაგმენტული აღწერით. ჩნდება პირველი პროფესიონალი ეთნოგრაფები, რომლებისთვისაც ახალი მიწები, კოლონიები (აფრიკა, ლათინური ამერიკა, მახლობელი აღმოსავლეთი, აზია) საუკეთესო ადგილებია სავლე კვლევებისთვის. მაგ., რუსი მწერალი ნიკოლაი გუმილიოვი (1886-1921) 1913 წელს აზიისინიაში მიემგზავრება და აღმოსავლეთ აფრიკაზე ფასეულ ეთნოგრაფიულ მასალას აგროვებს, ხოლო ფრანგი ფილოსოფოსი და ანთროპოლოგი კლოდ ლევი-სტროსი (1908-2009) 1935 წელს ბრაზილიაში მიდის იქაური ინდიელების ცხოვრებისა და მენტალობის შესასწავლად. ამ ეპოქაში მრავალი მოგზაური, მწერალი და საზოგადო მოღვაწე საქართველოსაც სტუმრობს, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ. საბჭოთა რეალობაში საქართველოში ჩამოსვლა და აქაურობის რომანტიკულად აღწრა მამინდელი ინტელიგენციისთვის ერთგვარი ტრენდი იყო. ჩამოსულები არა მხოლოდ სამოგზაურო ჩანაწერებს აკეთებდნენ, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებებს (განსაკუთრებით, პოეტურს) უძღვნიდნენ საქართველოს.¹¹

XXI საუკუნეში, გლობალიზაციის კვალდაკვალ, ტურიზმი ინტენსიური გახდა და სამოგზაურო ლიტერატურამაც ფართო მასშტაბები შეიძინა. ჩვენს ეპოქაში ტრაველოგის აქტუალურობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი: სამოგზაურო ჩანაწერების მიმართება სოფტ- მედიასთან, შემეცნებით-პოპულარული, რელაქსაციური, გასართობი ინფორმაციის სიჭარბე, დეტალების და ბექგრაუნდის, ანუ ფონური ინფორმაციის არსებობა; მეორე: სამოგზაურო ტექსტის დაწერასა და გავრცელებაში ჩართულია ციფრული ტექნოლოგიები, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი აუდიტორიისთვის, ინტერაქტიულია, მედია პროდუქტი განსხვავებულადაა წარმოდგენილი; მესამე: უცხო გარემოში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თხრობის პერსონალიზაცია, ანუ შესაძლებლობა უცხოელმა მკითხველმა მიიღოს სანდო ინფორმაცია მისთვის საინტერესო სფეროში. ამ მხრივ სამოგზაურო ლიტერატურისადმი ახალი მოთხოვნები გაჩნდა: დოკუმენტურ და ობიექტურ მოცემულობასთან ერთად ავტორის ორიგინალური აზრების გადმოცემა, მასალის ექსპრესიულობა.

უცხო/სხვის წარმოდგენა ყოველთვის თანხვედრაში არ არის მიმდინარე ობიექტურ რეალობასთან. დიდ როლს თამაშობს *ეთნიკური სტერეოტიპები*, რომლებიც ეთნოცენტრიზმს ეფუძნება, ე.ი. ადამიანების მიდრეკილებას, უცხო ხალხის კულტურის გამოვლინებები საკუთარი კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობების პრიზმაში გაატარონ. სტერეოტიპების განხილვისას მნიშვნელოვანია საზოგადოების სტრატეფიკაცია. სხვადასხვა სოციალური ფენა განსხვავდება სამყაროს მითოლოგიზაციის დონით, მათ შორის, სხვა ხალხების შესახებ წარმოდგენებით. ინტელექტუალური ელიტა მეტად რაციონალურია, ცოდნასა და ეთიკას ეყრდნობა, ხოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით გამოხატავს პოლიტიკურ და სოციალურ აქტივობას, უფრო მეტად კი მასები, სამყაროს ხედვაში ძირითადად დამკვიდრებულ სტერეოტიპებს იყენებენ. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი კონკრეტულ საზოგადოებაში გაბატონებულ იდეოლოგიას და კულტურას უკავია. როგორც ვ. ხორევი (1932-2012) აღნიშნავს, „ეთნიკური სტერეოტიპების სტაბილიზაცია, პირველ რიგში, კულტურის ტექსტებში ხდება“. ავტორის შემოქმედებითი წარმოსახვით შექმნილი, დამკვიდრებულ კულტურულ ტრადიციაზე დაფუძნებული, სხვის/უცხოს სახე აქტიურ როლს ასრულებს როგორც თანამედროვეთა, ისე მომავალი თაობების მენტალობის ჩამოყალიბებაში. თუმცა, კულტურის ფაქტებს რომ მივმართოთ, თავისებურ პარადოქსს აღმოვაჩენთ: ერთი მხრივ, კულტურა სტერეოტიპებს

¹¹ საბჭოთა პერიოდში საქართველოში ჩამოსული კულტურის მოღვაწეების რიცხვი შთამბეჭდავია, ამიტომ აქ არ ჩამოვთვლით.

ავრცელებს, ხოლო მეორე მხრივ სძლევს სტერეოტიპებს, რომლებმაც მასობრივი ცნობიერების უზურპაცია მოახდინეს.

ზემოაღნიშნული სრულად რელევანტურია საქართველოსადმი მიძღვნილ ალექსეი ბობროვნიკოვის ტრაველოგთან მიმართებაში. ის მდიდარია როგორც დამკვიდრებული სტერეოტიპებით, ისე მათი დაძლევათ, მარკირებულია სუბიექტური ობიექტურობით, ავტორის ორიგინალური დაკვირვებებით, პირადი რეაქციებით, რაც სვანეთის რეპრეზენტაციაშიც ვლინდება.

მეთოდები

კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ ბაზას წარმოადგენს იმაგოლოგია, რომელიც ლიტერატურული კომპარატივისტიკის ინტერდისციპლინური მიმართულებაა. ის უცხო/სხვა ხალხების ლიტერატურულ რეპრეზენტაციას შეისწავლის. იმაგოლოგია მჭიდრო კავშირშია ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიასთან, ბევრი მკვლევარი მას ეთნოიმაგოლოგიის სახელწოდებით მოიხსენიებს. გარდა ამისა, სტატიაში გამოყენებულია მულტი- და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები: ისტორიული, ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, თარგმანის და კულტურის კვლევები, კონტენტ-, კომპარატიული- და დისკურსის ანალიზი; ლოგიკური მოდელირების, ინტროსპექციის, რეტროსპექციის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა

სვანეთი – მგლების ქვეყანა – თანამედროვე უკრაინულ ტრაველოგში

უშუალოდ უკრაინულ ლიტერატურაში ტრაველოგი, როგორც ცალკე ჟანრი, გასული საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, თუმცა ჟანრის სპეციფიკის შემცველი ტექსტები მანამდეც იწერებოდა. ვ. იშჩენკო და მ. ტეპლიკი თავის კვლევაში „მოგზაურობის ჩანაწერები: უცხოელები უკრაინაზე და უკრაინელები მსოფლიოს შესახებ“ (უკრ. Дорожні нотатки: чужоземці про Україну та українці про світ) ლიტერატურულ ტექსტებს გამოჰყოფენ, რომლებმაც უკრაინული ტრაველოგის, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბებაზე იმოქმედეს. ეს არის ვ. ბარსკის (1866-1936) „მოგზაურობა აღმოსავლეთის წმინდა ადგილებში 1723 წლიდან 1747 წლამდე“ (რუს. Путешествие по Святым Местам Востока с 1723 по 1747 год), ტ. შევჩენკოს (1814-1861) „სასიამოვნო გასეირნება მორალის თანხლებით“ (რუს. Прогулка с удовольствием и не без морали), ვ. სიჩინსკის (1894-1962) „უცხოელები უკრაინაზე“ (უკრ. Чужинці про Україну). უკრაინული სამოგზაურო წიგნები ხშირად სხვა ჟანრებთანაა შერწყმული. ესენია მემუარისტიკა, დღიურები, ეპისტოლარული ჩანაწერები. მათი ავტორები არიან პ. კულიში (1819-1897), მ. ვოვჩოკი (1833-1907), ი. ოკუნევსკი (1860-1929), ი. რუდნიცი (1888-1975), გ. ჟურბა (1889-1979), ი. გალანი (1902-1949), უ. სამჩუკი (1905-1987) და სხვ.

თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში ტრაველოგს მიმართავენ ი. ანდრუხოვიჩი („ინტიმური ადგილების ლექსიკონი“/«Лексикон інтимних місць»), მ. რიაბჩუკი („მეტერნიხის ბაღი“/«Сад Меттерніха»), ვ. ვოზნიუკი („აღმოვაჩენ ნიდერლანდებს უკრაინულად“/«Відкриваю Нідерланди по-українськи»), მ. კიდრუკი („მექსიკური ქრონიკები“/«Мексиканські хроніки», „შემლილები პერუში“/«Божевільні в Перу», „შემლილები მექსიკაში“/«Божевільні в Мексиці», „სიყვარული და პირანიები“/«Кохання і піранії»), ვ. პანჩენკო („მზის საათი“/«Сонячний годинник»), ა. ჩაპაი („ავანტიურა“/«Авантюра», „მოგზაურობა მამაიოტოსთან ერთად უკრაინის მიებაში“/«Подорож із Мамайотою у пошуках України»), ი. რაზდობუდკო („მოგზაურობა შინაარსისა და მორალის გარეშე“/«Подорожі без сенсу та моралі»), ლ. ვორონინა („ოგოპოგოს მიებაში“/«У пошуках Огопого»), ი. კარპი („Baby travel. მოგზაურობა ბავშვებთან ერთად, ან როგორ არ გახდეთ ქათამი“/«Baby travel. Подорожі з дітьми, або як не стати куркою»), გ.

ჩერინი („მეცხრე საოცრება“/«Дев'яте диво»), ს. პირკალო („სასიყვარულო მოგზაურობანი“/«Любовні подорожі») და ა.შ.

უცხოთა აღქმა საკუთარის ფონზე, სტერეოტიპების გამყარება/მსხვერვის გარდა, ერთგვარად საკვირველი/საოცარი/მისტიკური კონოტაციის მატარებელიცაა. ასეთია ჩვენ მიერ შერჩეული ნაწარმოები *საქართველოს უკიდურესობები. მგლების ქვეყნის საგანძურის ძიებაში* და მისი ის ნაწილი, რომელიც სვანეთს შეეხება. მასში ვ. ბობროვნიკოვი ამ კუთხის მეტად ორიგინალურ ჰეტეროსახეს წარმოგვიდგენს. მისი მიზანდასახულობაა სვანეთის, როგორც უცხო/სხვის სახის კულტურული რომანტიზაცია-ეგზოტიზაცია, ამ კუთხის ბუნებრივი და ადამიანური საგანძურის სიღრმისეული წვდომის მცდელობა. წიგნს ახლავს ეპიგრაფი დიუმას მოგზაურობიდან: „რა აზრის ხართ ქართველებზე?“ – ვკითხე ბარონ ფინოს, ჩვენს კონსულს ტფილისში, რომელიც უკვე სამი წელია მათ შორის ცხოვრობს. – „ეს არის უნაკლო ხალხი, ყველა საუკეთესო თვისებით შემკული“,¹² – მიპასუხა მან“ (Бобровников, 2016: 12). გარდა ფრანგი კლასიკოსის შეფასების დაფიქსირებისა, ამგვარი შესავალი იმთავითვე უკრაინელი ავტორის საქართველოსა და ქართველებისადმი კეთილგანწყობას ადასტურებს და ერთგვარი პრევენციაც არის, რადგან პოზიტიური მხარეების გვერდით ნაკლოვანებების უსაფრთხოდ აღნიშვნის შესაძლებლობას იძლევა: ქართველ მკითხველში ეს აგრესიას აღარ, ან ნაკლებად გამოიწვევს. გარდა ამისა, ეს ხრიკი ნაწარმოების რეალისტურობას განაპირობებს.

უკრაინელი მოგზაურისთვის სვანეთი ძალზე კოლორიტული ადგილია. ის სტუმრობს სვანურ ოჯახებს, ახსენებს სვანურ ქუდს, სვანურ მარილს, მთის თაფლს, გატაცებით ჰყვება ადგილობრივებისგან გაგონილ ამბებს, კომპეების აშენების ისტორიებს, აღწერს ალპინისტების უშმაზე ასვლას, რომელსაც ის „რქიან დემონს“ (რუს. «рогатый демон») უწოდებს; მან იცის და ჰყვება, რომ „ძველად სვანებს სჯეროდათ, რომ იქ [უშბის მწვერვალზე] თავად ნადირობის ქალღმერთი დალი ცხოვრობდა – დევგმირი ამირანის დედა, რომელმაც პრომეთეს მსგავსად, ხალხს ცეცხლი მოუპოვა“¹³ (Бобровников, 2016: 129). ის აღნიშნავს სვანებში თავისუფლებისკენ მიდრეკილებას, იცის, სად იწყება უბატონო სვანეთი, იცის უხუცესების საბჭოს და მახვშის ინსტიტუტის შესახებ, რომლის თანამედროვე ფუნქციას ის ინგლისის დედოფლის ფუნქციას ადარებს და აღნიშნავს მის გარდასულ დიდებას: „დღეს სვანი უხუცესის ფუნქციები უფრო ინგლისის დედოფლის როლს ჰგავს, თუმცა ოდესღაც მახვში თავისუფალ სვანეთში, სადაც არც მეფის და არც მთავრის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა, მართლმსაჯულებას აღასრულებდა“¹⁴ (Бобровников, 2016: 130). წიგნის ავტორმა იცის დადემქელიანების საგვარეულო, რომლის შთამომავლებსაც პირადად ხვდება: „დადემქელიანები?! – გაცემული დავრჩი. – სწორედ ისინი?...“ ასე გავიცანი მთავარ დადემქელიანების საგვარეულო, რომელიც საუკუნენახევრის წინათ რკინის ხელით მართავდა სვანეთს...“¹⁵ (Бобровников, 2016: 30).

წიგნში ცალკეა გამოტანილი *მოგზაურობისთვის აუცილებელი ქართული სიტყვები და გამოთქმები*, სადაც პარალელურადაა მოცემული ქართული, სვანური და მეგრული

¹² ორიგ.: «Какого вы мнения о грузинах?» – спросил я барона Финно, нашего консула в Тифлисе, проживающего среди них уже три года. «Это народ без недостатков, со всеми добрыми качествами», – отвечал он». Александр Дюма, «Кавказ». / ფრანგ.: «Quelle est votre opinion sur les Géorgiens?» – J'ai demandé au baron Fino, notre consul à Tiflis, qui vit parmi eux depuis trois ans. – «C'est un peuple sans défauts, avec toutes les bonnes qualités», répondit-il.

¹³ ორიგ.: В древности сваны считали, что там обитает сама богиня охоты Дали – мать богатыря Амира, подобно Прометею, подарившего людям огонь.

¹⁴ ორიგ.: Сегодня функции сванского старейшины похожи скорее на роль английской королевы, но когда-то махшви вершили правосудие в Вольной Сванетии, где не было власти ни царя, ни князя.

¹⁵ ორიგ.: «Дадешкелиани?!» – изумился я. – «Те самые?»... Так я познакомился с княжеской фамилией Дадешкелиани, железной рукой правившей Сванетией полтора века назад...

სიტყვები და მათი რუსული შესატყვისები.¹⁶ ქართულ მეტყველებას უკრაინელი მოგზაური ასე აღწერს: „როცა ქართველები ჩხუბობენ, მათი მეტყველება გამძვინვარებული მთის მდინარის ღრიალს ჰგავს. როცა ისინი სიცილით საუბრობენ, ეს მთაზე ჩამოგორებულ მხიარულ ქვას ჰგავს. ის ხტება, ხტუნავს, ხმამაღლა ურტყამს აქეთ-იქით წამოწოლილ ძმებს. მაგრამ არაფერია იმაზე სასიამოვნო, ვიდრე ქართველი ქალის მშვიდი ხმა, რომელიც ვინმეს ნაზ და სააღერსო სიტყვებს ეუბნება. მის ბაგეებში ქართული მეტყველება ტკბილ-მწარე მთის თაფლია; და მით უფრო ბუნდოვანი და ტკბილია ის მოგზაურისთვის, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ ესმის გაგონილიდან“¹⁷ (Бонровников, 2016: 120). სვანური ენის თავისებურებაზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ ის ერთ-ერთი ურთულესია კავკასიურ ენებს შორის და მონათესავე ქართული ენისგან განსხვავებით თითქმის არ შეცვლილა საუკუნეების განმავლობაში.

წიგნში ავტორი საგულისხმო მოსაზრებას გვთავაზობს: „საქართველო კაცების ქვეყანაა, ამ სიტყვის ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი გაგებით“¹⁸ (Бонровников, 2016: 31), ანუ საქართველოში მამაკაცის დომინანტს, მის ვაჟკაცურობას, სიმამაცეს უსვამს ხაზს, რაც სვანებში განსაკუთრებით გამოხატულია. უკრაინელი მოგზაური საქართველოს ამ კუთხის მკვიდრთა ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებზე საუბრობს: „ქართველთა ეთნიკურ ჯგუფებს შორის სვანები ყველაზე ოდიოზურები არიან. ღარიბებმა, ამაყებმა და კბილებამდე შეიარაღებულებმა, მათ სახელი გაითქვეს მტრების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკითა და სიკვდილის არად ჩაგდებით. ოცდამეერთე საუკუნეშიც კი ისინი ცხოვრობენ და კვდებიან საკუთარი, სისხლის კანონების მიხედვით“¹⁹ (Бонровников, 2016: 112). თუმცა აქვეა მოცემული სვანების სტერეოტიპულად დამკვიდრებული მენტალობის მარკერი, რასაც ავტორი ანეკდოტის საშუალებით გადმოსცემს, რადგან მან იცის, რომ ანეკდოტში თვითთრონიას ასახული, ამიტომ ის ნაკლებად გამაღიზიანებელია. მას თავად სვანებისგან მოსმენილი ანეკდოტი მოჰყავს: „სვანს თბილისიდან სტუმარი ეწვია. ქვის კოშკში რახის სვამენ. ფანჯარასთან მიახლოებისას სტუმარმა აღმოაჩინა, რომ ვიღაც სხვა სვანი მას ახლომდებარე კოშკიდან იარაღს უმიზნებდა. სტუმარი შიშით მივარდა მასპინძელს: „გენაცვალე, შენს მეზობელს ჩემი მოკვლა უნდა!“ რაზეც სვანმა უპასუხა: „ნუ ღელავ, ძვირფასო! მასაც ეყოლება სტუმარი!“²⁰ (Бонровников, 2016: 28-29).

ნაწარმოებში ჩართულია ზოგადად ქართული და კონკრეტულად სვანური მითოლოგია, რაც მას მხატვრულობას მატებს და უცხო თვალით დანახულ საქართველოს და მის ამ მხარეს სპეციფიკურ ელფერს და ხიბლს სძენს. წმინდა გიორგის სალოცავებთან ერთად ალექსეი ბობროვნიკოვი აღწერს სვანეთის ერთ-ერთ უძველეს დღესასწაულს – კვირიკობას, რომელიც სათავეს წარმართულ ეპოქაში იღებს. თხრობისას იშველიებს ქართველი ეთნოგრაფის, სერგი მაკალათიას მოსაზრებას, რომ კვირიკე წარმართული კვირიას, ნაყოფიერების ღმერთის, ქრისტიანული ანალოგია. ასევე ამბობს, რომ ამ ადგილს

¹⁶ ორიგ.: Грузинские слова и выражения, необходимые в путешествии.

¹⁷ ორიგ.: Когда грузины ссорятся, звук их речи напоминает рокот бушующей горной реки. Когда же разговаривают смеясь – это похоже на веселый камень, катящийся с горы. Он скачет, подпрыгивает, звонко ударяясь о лежащих на боку собратьев. Но нет ничего приятнее мирного голоса грузинской женщины, говорящей кому-то нежные и ласковые слова. В ее устах грузинская речь – это горьковатый и сладкий горный мед; и тем темней и слаще он путнику, не понимающему ни звука из услышанного.

¹⁸ ორიგ.: Грузия – это страна мужчин, в самом лучшем и худшем значении этого слова.

¹⁹ ორიგ.: Сваны – самая одиозная среди этнических групп грузин. Бедные, гордые и вооруженные до зубов, они прославились особой жестокостью к врагам и презрением к смерти. Даже в двадцать первом веке они живут и умирают по своим, кровным законам.

²⁰ ორიგ.: Приехал к свану гость из Тбилиси. Пьют рахи в каменной башне. Подойдя к окну, гость обнаружил, что из соседней башни в него целится другой сван. Гость в страхе подбежал к хозяину: «Генацвале, твой сосед хочет меня убить!». На что сван ответил: «Не переживай, дорогой! У него тоже будет гость!».

სვანები „ლაგურკას“ ეძახიან და განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ. უცხოეთის თვალშისაცემია სვანების მიერ ტრადიციების განსაკუთრებული პატივისცემა და ის, რომ ბევრი ტრადიცია წარმართული დროიდანაა შემორჩენილი: „სვანეთი... ბოლო დრომდე კავკასიური პროვინციებიდან ყველაზე ველური და დამოუკიდებელი [მხარე იყო], რომელიც ცნობილია სისხლის ალების ტრადიციებით და ზოგიერთი რიტუალით, რომელიც აქ წარმართული დროიდანაა შემორჩენილი... სვანეთი შუა საუკუნეების ციხეების მსგავსი კოშკების ქვეყანაა და ვენდეტის კავკასიური დედაქალაქი, სადაც, როგორც ოდესღაც სიცილიაში, ასობით წლის წინათ ალებულ ვალებს ისტუმრებენ“²¹ (Бонровников, 2016: 110). მოგზაური ჰყვება, რომ სისხლის ალების ტრადიცია სვანებში მგლის კულტს უკავშირდება. მგელი სვანებისთვის მისტიკური ცხოველია და მისი ხელის ხლეჩა დაუშვებელია. „სწორედ მგელს, ცხოველთა მეფეს, რომელიც მთის ერთი ქედიდან მეორეზე გრძნობს ნადავლის სუნს; მგელს, რომელიც შურს იძიებს მოძმეთათვის და ხროვის ერთგულია, ძველი სვანები გამოქომაგებას და დახმარებას სთხოვდნენ. ქრისტიანობის მიღების შემდეგ მგლის კულტი წმინდა გიორგის კულტმა შეცვალა... ასობით წლის შემდეგ სვანურმა ტოტემმა გზა დაუთმო წმინდანის სახეს. თუმცა ხატის პირისახე, ან თუნდაც ტოტემის ღრეჭა – მხოლოდ ნიღაბია. მთიელთა ტომი ისეთივე დარჩა, როგორიც ასობით წლის წინათ იყო“²² (Бонровников, 2016: 113-114).²³

ალ. ბობროვნიკოვი აღნიშნავს, რომ სვანები განსაკუთრებულ პატივს სცემენ დედას და ზოგადად ქალს, ხვდება ქალის ადგილს და ძალას ქართულ საზოგადოებაში: „სვანეთში, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, ქალის მორჩილება ნიღაბი უფროა. რა იმალება მის უკან? ამის გასარკვევად ტურისტად ყოფნა არ კმარა, ხოლო ასეთი ნაწარმოების დაწერას მკვლევარმა შეიძლება მთელი დარჩენილი ცხოვრება მიუძღვნას“ (Бонровников, 2016: 132).²⁴ ავტორისთვის ცნობილია დაპირისპირებულ, მოჩხუბარ მამაკაცებს შორის კონფლიქტის დასრულების მიზნით მანდილის ჩაგდების ტრადიცია. ის ძალზე საინტერესოდ გადმოსცემს ქალის ისეთ ღირსებას, როგორიცაა კდემამოსილება: „ქართველი ქალი, ასე ვთქვათ, სამი სათნოებისგან შედგება... „ნაზი“... „ლამაზი“... და „კდემამოსილი“... „და როგორ ითარგმნება „კდემამოსილება“?... „იქნებ გრაციოზული, მოხდენილი?... არა, ეს არ კმარა... კდემამოსილება ცნებების მთელი კომპლექსია... არა მარტო მოხდენილი, არამედ უმანკო, ქალწული და ცოტა გულუბრყვილო. გახსოვს ის ქართული ცეკვა, როდესაც კაცი სცენაზე არწივივით შემოდის, ხოლო სცენის გარშემო წრიულად მოძრაობს

²¹ ორიგ.: Сванетия... до недавних пор – самая дикая и независимая из кавказских провинций, известная традициями кровной мести и некоторыми обрядами, сохранившимися там еще с языческих времен... Сванетия – это страна башен, похожих на средневековые замки, и кавказская столица вендетты, где, как некогда на Сицилии, сводят счеты по долгам, открытым сотни лет назад.

²² ორიგ.: Именно у волка, царя всех зверей, чующего добычу через горный хребет; волка, мстящего за своих собратьев и верного стае, древние сваны просили заступничества и помощи. После принятия христианства культ волка был заменен культом святого Георгия... Спустя сотни лет тотем сванов уступил место лику святого. Но лицо иконы или оскал тотема – это всего лишь маска. Горное племя осталось таким же, что и сотни лет назад.

²³ სავარაუდოდ, მგლის ტოტემი არა მარტო სვანებში იყო გავრცელებული, არამედ სხვა ქართველურ ტომებშიც. როგორც ცნობილია, ქართველის ადმინისტრაციული სპარსულ-არაბული ეთნიკური ტერმინია گرج „გორჯი“ (სპარს.), گرجي „გურჯი“/„გურჯი“ (არაბ.), ხოლო ტოპონიმი گرجستان „გორჯესტან“ (სპარს.), گرجستان „გურჯისტან“ (არაბ.) – სპარსული სუფიქსით استان (სტან) – აღნიშნავს საქართველოს. ძველ სპარსულ წყაროებში არის სიტყვა گرج „გურჯი“ („მგლების ქვეყანა“); უძველეს მატერიალებში დაცულია ეპითეტი „გორგასალი“, რომელიც არის იგივე სპარსული مگلتا „გორგასარი“, ანუ „მგელთა“.

²⁴ ორიგ.: В Сванетии, как и везде в Грузии, покорность женщины – скорее маска. Что кроется за ней? Для того чтобы узнать это, недостаточно быть туристом, а написанию такого труда можно посвятить весь отмерянный исследователю остаток жизни.

თვალდახრილი, ამაყად თავაწეული, ტანწერწეტა შავთმიანი ლამაზმანი, ის არა უბრალოდ მოძრაობს, არამედ დაფარფატებს. ეს არის ნამდვილი *კდემამოსილება*²⁵ (Бобровников, 2016: 70-71). უკრაინელი ავტორი იაზრებს ქართველი და კერძოდ სვან ქალის ფენომენს, ხედავს მის ღირსებას და იცის, რომ მასთან დისტანცია უნდა დაიცვას. მერე რა, რომ მოგზაურია, სტუმარია. თუ საზღვარს დაარღვევს, შეიძლება სვან მამაკაცში მგელმა გაიღვიძოს.

ალექსეი ბობროვნიკოვის წიგნში ჩართულია სვანეთთან დაკავშირებული ამბავი საქართველოს უახლოესი წარსულიდან, როდესაც სვანები ისევ საკუთარი ღირსების დასაცავად იბრძოდნენ. თუმცა მკითხველისთვის ისიც გასაგები ხდება, რომ დღეს სვანეთი არა კავკასიონის მთებში ჩაკარგული და მივარდნილი არქაული მხარე, არამედ თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი განვითარებული რეგიონია.

დასკვნები

თანამედროვე უკრაინული ტრაველოგი ძალზე საინტერესო ფენომენია და საგულისხმო ტექტებს შეიცავს. მათ შორისაა ალექსეი ბობროვნიკოვის ტრაველოგი, რომელიც უკრაინელი მოგზაურის, ალექსეი ბობროვნიკოვის თვალთქცით დაწერილ საქართველოს წარმოდგენს. სტატია მოიცავს მხოლოდ ერთ კუთხეში – სვანეთში – მოგზაურობას. მასში მოცემულია სხვა/უცხო ხალხის ყოფა-ცხოვრების, ფუნქციის, კულტურის გააზრება და ჩვენება დროსა და სივრცეში. წიგნი დაწერილია ერუდირებული ავტორის მიერ, ცოცხალი ენით, რეალისტურად, მაღალმხატვრულად, იკითხება ერთი ამოსუნთქვით; თხრობა სავსეა დეტალებით, ეთნორეალიებით, ქართული/სვანური თავისებურებების აღწერით, ძველი ტრადიციებისადმი, სასწაულებრივად, ბრძოლით შენარჩუნებული ქრისტიანობისადმი მოკრძალებით, იგრძნობა საქართველოსა და ქართველებისადმი კეთილგანწყობა.

ტრაველოგი უხვ მასალას იძლევა სამეცნიერო კვლევისთვის ლიტერატურის თეორიის, იმაგოლოგიის, კომპარატივისტიკის, ენათმეცნიერების, თარგმანმცოდნეობის, ისტორიის, ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიის, კულტუროლოგიის თვალსაზრისით. ნაწარმოები ქართულად თარგმნილი არ არის, რაც მომავლის საქმეა და ნამდვილად გაამდიდრებს ქართულ ლიტერატურას, ახალ დაკვირვებებს შემატებს თარგმანის მეცნიერებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

- სალაძე, ს. (2024). *ცნობილი ევროპელები საქართველოში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.therefore-european.org/post/ცნობილი-ევროპელები-საქართველოში>
- Бобровников, А. Е. (2016). *Крайности Грузии. В поисках сокровищ страны волков*. Харьков: Изд. «Фолио».
- Будний, В., & Ільницький М. (2008). *Порівняльне літературознавство*. Київ: Видавничий дім «Києво-Могилянська академія».
- Данибегашвили, Р. И. (1815). *Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова*. Перевод с грузинского. Москва: В типографии С. Селивановского.

²⁵ ორიგ.: «Грузинская женщина, если можно так выразиться, состоит из трех достоинств... – «Нази» – значит нежный, «ламази» – красивый. И третье – «кдемо мосилеба»... А как переводится кдемо мосилеба?... «Может быть – грациозная?... Нет, этого мало»... «Кдемо мосилеба – это целый комплекс понятий... Не только грациозная, но еще и безгрешная, девственная и немножко наивная. Помнишь этот грузинский танец, когда мужчина выходит на сцену, как орел, а вокруг кругами, потупив взор, гордо подняв голову и распрямив плечи, не просто движется, а парит черноволосая красавица? Вот это и есть самое настоящее кдемо мосилеба» (ალ. ბობროვნიკოვი სიტყვის *კდემამოსილება* არასწორ ტრანსლიტერაციას ახდენს: *კდემო მოსილება* – ნ.ა.).

- Майга, А. А. (2014). Литературный травелог: специфика жанра. *Филология и культура. Philology and culture*. №3(37). УДК 82-1/-9. С.-Петербург.
- Наливайко, Д. (2008). Компаративістика в системі літературознавчих дисциплін. *Компаративістика й історія літератури*. Київ: Наукове видавництво «АКТА».
- Полиевктов, М. А. (1935). *Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу*. Тфл.
- Хорев, В. А. (2002). *О живучести стереотипов. Россия-Польша: образы и стереотипы в литературе и культуре*. Москва: Изд. «Индрик».

REFERENCES

- saladze, s. (2024). *tsnobili evrop'elebi sakartveloshi [Famous Europeans in Georgia]*. Retrieved from <https://www.therefore-european.org/post/ცნობილი-ევროპელები-საქართველოში>
- Bobrovnikov, A. E. (2016). *Krajnosti Gruzii. V poiskah sokrovishh strany volkov [Extremes of Georgia. In search of treasures of the Land of Wolves]*. Kharkov: Publishing House «Folio».
- Budnyj, V., & Il'nyk'kyj M. (2008). *Porivnjal'ne literaturoznavstvo [Comparative Literature]*. Kiev: Publishing House «Kyjevo-Mogylyans'ka akademija»
- Danibegashvili, R. I. (1815). *Puteshestvie v Indiju gruzinskago dvorjanina Rafaila Danibegova [Journey to India by Georgian nobleman Rafail Danibegov]*. Translation from Georgian. Moscow: Printing House of S. Selivanovsky.
- Majga, A. A. (2014). Literaturnyj travelog: specifika zhanra [Literary travelogue: specifics of the genre]. *Filologija i kul'tura [Philology and culture]*. №3(37). UDK 82-1/-9. St. Petersburg.
- Nalyvajko, D. (2008). Komparatyvistyka v systemi literaturoznavchych dyscyplin [Comparative Literature in the System of Literary Disciplines]. *Komparatyvistyka j istorija literaturi [Comparative Literature and History]*. Kiev: Scientific Publishing House «АКТА»
- Polievktov, M. A. (1935). *Evropejskie puteshestvenniki XIII-XVIII vv. po Kavkazu [European travelers of the 13th-18th centuries in the Caucasus]*. Tiflis.
- Horev, V. A. (2002). *O zhivuchesti stereotipov. Rossiya-Pol'sha: obrazy i stereotipy v literature i kul'ture [On the Vitality of Stereotypes. Russia-Poland: Images and Stereotypes in Literature and Culture]*. Moscow: Publishing House «Indrik».